

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოსა

და

ჩეხეთის რესპუბლიკას შორის

საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა

და ორმხრივად დაცვის შესახებ

პრეამბულა

საქართველო და ჩეხეთის რესპუბლიკა (შემდგომში მხარეებად წოდებულნი), გამოხატავენ რა სურვილს, უზრუნველყონ მათ შორის, ან საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მყოფი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის გაცვლილი საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვა სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განსაზღვრებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის მოცემული ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით:

„საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაცია“: ინფორმაცია, რომელიც ორივე მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვს დაცვას არაუფლებამოსილი გამჟღავნებისაგან, უკანონო მითვისებისაგან ან დაკარგვისაგან და განსაზღვრული იქნა ასეთი ტიპის ინფორმაციად მოუხედავად მისი ფორმისა.

„საიდუმლო ხელშეკრულება“: ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს და/ან შეეხება საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას.

„საიდუმლო ინფორმაციაზე ინდივიდუალური დაშვება“: ტერმინი, რომელიც ნიშნავს, რომ პირი არის უფლებამოსილი პქონდეს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება.

„საიდუმლო ინფორმაციაზე იურიდიულ პირთა დაშვება“: ტერმინი, რომელიც ნიშნავს, რომ იურიდიულ პირს აქვს საიდუმლო ინფორმაციის შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფის საშუალება და მის პერსონალს, რომელიც საჭიროებს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვებას, გააჩნია ინდივიდუალური დაშვება.

„მიმწოდებელი მხარე“: მხარე, მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, რომელიც აწვდის საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციას მეორე მხარეს.

„მიმღები მხარე“: მხარე, მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, რომელიც ღებულობს საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციას მიმწოდებელი მხარისაგან.

„მესამე მხარე“: ქვეყანა, მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად, ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ არის ამ შეთანხმების მხარე.

მუხლი 5
საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვა

1. მიმწოდებელი მხარე:

ა) უზრუნველყოფს ინფორმაციისათვის შესაბამისი საიდუმლოების ხარისხის მინიჭებას თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) აცნობებს მიმღებ მხარეს ინფორმაციის გაცემის ნებისმიერი პირობებისა ან მისი გამოყენების შეზღუდვების შესახებ.

გ) აცნობებს მიმღებ მხარეს საიდუმლოობასთან ან განსაიდუმლოობასთან დაკავშირებით ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ.

2. მიმღები მხარე:

ა) ამ შეთანხმების მე-2 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფს საიდუმლოების ექვივალენტური ხარისხის მინიჭებას საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციაზე.

ბ) მიღებული საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას მინიჭებს დაცვის იმავე ხარისხს, როგორც შესაბამისი ექვივალენტურობის საიდუმლოების გრიფის მქონე თავის ინფორმაციას.

გ) უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის განსაიდუმლოება და არც საიდუმლოების ხარისხის შეცვლა მიმწოდებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 6
საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის გამოყენების შეზღუდვები

1. მიმღები მხარე საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას გამოიყენებს მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ის მას მიეწოდა და მიმწოდებელი მხარის ინფორმაციის ფლობის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მიმღები მხარე არ გადასცემს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას მესამე მხარეს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის შესაბამისი წესით დაცვის შესახებ გარანტიის მიღებისა და მიმწოდებელი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 7
საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის გადაცემა

საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს მიმწოდებელი მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, დიპლომატიური არხებით, ან როგორც შეთანხმდება კომპეტენტური ორგანოები.

მუხლი 8 თარგმნა, რეპროდუქცია და განადგურება

1. ყველა თარგმანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საიდუმლოების ხარისხის ნიშანი და ნათარგმნ ენაზე მითითება, რომ დოკუმენტაცია შეიცავს მიმწოდებელი მხარის საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციას.

2. ყველა რეპროდუქციას ან ასლს უნდა მიენიჭოს იგივე საიდუმლოების ხარისხი და იყოს ისევე დაცული, როგორც ორიგინალი. რეპროდუქციებისა და ასლების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს იმ მიზნებისათვის, რა მიზნითაც მოხდა ინფორმაციის გადაცემა მიმწოდებელი მხარის მიერ.

3. საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაცია დაბრუნდება, შეინახება, გადაიტანება არქივში ან განადგურდება მიმღები მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. განადგურებამდე მიმღებმა მხარემ უნდა აცნობოს მიმწოდებელ მხარეს.

4. PŘISNĚ TAJNĚ/განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის თარგმნა, რეპროდუქცია ან კოპირება უნდა მოხდეს მხოლოდ მიმწოდებელი მხარის წერილობითი თანხმობის შემდეგ.

5. TAJNĚ/სრულიად საიდუმლო და PŘISNĚ TAJNĚ/განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაცია არ განადგურდება და მას შემდეგ, რაც აღარ იქნება მიჩნეული საჭიროდ დაუბრუნდება მიმწოდებელ მხარეს.

მუხლი 9 ვიზიტები

1. თუ სხვანაირად არ არის შეთანხმებული კომპეტენტური ორგანოების მიერ, ვიზიტები, რომელთა დროსაც საჭიროა საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციაზე დაშვება, ექვემდებარება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინასწარ თანხმობას.

2. ვიზიტზე მოთხოვნა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს უნდა წარედგინოს ვიზიტის დაწყებამდე 30 დღით ადრე და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) წარდგენილი ვიზიტორის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, მოქალაქეობა და პასპორტის/პირადობის მოწმობის ნომერი;
- ბ) ვიზიტორის ოფიციალური სტატუსი იმ ორგანოს მითითებით, რომელსაც ის წარმოადგენს;
- გ) ვიზიტორის საიდუმლოებასთან დაშვების დონე და მისი ძალაში ყოფნის პერიოდი;
- დ) დასახელება, მისამართი ტელეფონი/ფაქსი, ელ. ფოსტის მისამართი და იმ დაწესებულების საკონტაქტო პირის სახელი, რომელშიც იგეგმება ვიზიტი;
- ე) ვიზიტის მიზანი ყველაზე მაღალი დონის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის მითითებით, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული;
- ვ) ვიზიტის თარიღი. მრავალჯერადი ვიზიტის შემთხვევაში მითითებული

- უნდა იყოს მთლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება ვიზიტები;
- ზ) კომპეტენტური ორგანოს ბეჭედი და/ან თანამდებობის პირის ხელმოწერა.

3. კომპეტენტური ორგანოები შეიძლება შეთანხმდნენ იმ ვიზიტორთა სიაზე, რომლებიც განახორციელებენ მრავალჯერად ვიზიტებს. სია ძალაშია საწყისი პერიოდისათვის არა უმეტეს 12 (თორმეტი) თვისა. მრავალჯერადი ვიზიტების შესახებ მოთხოვნა გადაიცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. როდესაც დამტკიცდება სია, მასში შემავალ პირთა ვიზიტებთან დაკავშირებული შეთანხმებები შესაძლებელია მოხდეს პირდაპირ იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი.

4. ვიზიტორის მიერ მიღებული ნებისმიერი სახის საიდუმლო ინფორმაცია განხილული უნდა იქნეს, როგორც ამ შეთანხმების შესაბამისად გაცემული საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაცია.

მუხლი 10 საიდუმლო ხელშეკრულებები

1. საიდუმლო ხელშეკრულებები უნდა დაიდოს და განხორციელდეს შესაბამისი მხარის საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოთხოვნის საფუძველზე თითოეული მხარის კომპეტენტური ორგანო წარმოადგენს ინფორმაციას იმის შესახებ, აქვს თუ არა წარმოდგენილ კონტრაქტორს საიდუმლოებაზე საჭირო საიდუმლოების ხარისხის შესაბამისი დონის ინდივიდუალური თუ იურიდიული პირის დაშვება.

2. მიმწოდებელი მხარის კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლებელია მოითხოვოს წარმოდგენილი კონტრაქტორის დაწესებულებაში ინსპექციის ჩატარება მიმღები მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების სტანდარტებთან თავსებადობის შემოწმების მიზნით.

3. მიმწოდებელი მხარის კომპეტენტური ორგანო გადასცემს საიდუმლო ხელშეკრულების ასლს მიმღები მხარის კომპეტენტურ ორგანოს უსაფრთხოების შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელების ნების დართვის მიზნით.

4. საიდუმლო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვის და საიდუმლოების ყოველი ასპექტისა და ელემენტის მოთხოვნებს და მითითებას იმის შესახებ, მთლიანი ხელშეკრულება არის დასაიდუმლოებული თუ მისი რომელიმე ნაწილი.

5. უსაფრთხოების წესების ასლი უნდა გადაეგზავნოს იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის იურისდიქციის ქვეშაც მოხდება ამ ხელშეკრულების განხორციელება.

მუხლი 11 თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში

1. უსაფრთხოების ექვივალენტური სტანდარტების შენარჩუნების მიზნით, კომპეტენტური ორგანოები, მოთხოვნის საფუძველზე, მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთი სახელმწიფო უსაფრთხოების სტანდარტების, პროცედურებისა და პრაქტიკების შესახებ, საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვისათვის. ამ მიზნით კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ განახორციელონ ორმხრივი ვიზიტები.

2. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს იმ არსებული რისკების შესახებ, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან გაცემულ საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციას.

3. მოთხოვნის საფუძველზე, კომპეტენტური ორგანოები მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, დაეხმარებიან ერთმანეთს საიდუმლო ინფორმაციაზე ინდივიდუალური დაშვებისა და საიდუმლო ინფორმაციაზე იურიდიულ პირთა დაშვების პროცედურების განხორციელებაში.

4. კომპეტენტური ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობენ ერთმანეთს იმ ცვლილებებზე, რომლებიც შევიდა საიდუმლოებაზე დაშვების ცნობებში, განსაკუთრებით მათი გაუქმების და შეწყვეტის შემთხვევებში.

5. თანამშრომლობა ამ შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება ინგლისურ ენაზე.

მუხლი 12 უსაფრთხოების ზომების დარღვევა

1. უსაფრთხოების ზომების დარღვევის შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოიხატოს საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაკარგვაში, მითვისებასა და უკანონო გამჟღავნებაში, ან ასეთი დარღვევების შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანო წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

2. მიმღები მხარის შესაბამისი ორგანოები (საჭიროებისამებრ, მიმწოდებელი მხარის კომპეტენტური ორგანოების დახმარებით) მათი კანონმდებლობის გათვალისწინებით განახორციელებენ ინციდენტის დაუყოვნებლივ გამოძიებას. მიმღებმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმწოდებელ მხარეს ინციდენტის გარემოებების, მიყენებული ზიანის, მისი შემამსუბუქებელი ზომებისა და გამოძიების შედეგების შესახებ.

მუხლი 13 ხარჯები

ამ შეთანხმების განხორციელების განმავლობაში თითოეული მხარე დაფარავს თავის ხარჯებს.

მუხლი 14

დაკვი

ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც ეხება ამ შეთანხმების განმარტებას ან გამოყენებას გადაწყდება მხარეთა შორის კონსულტაციის და/ან მოლაპარაკებების გზით და მისი გადაწყვეტის მიზნით მხარეებმა არ უნდა მიმართონ რომელიმე სახელმწიფო ან საერთაშორისო ტრიბუნალს ან მესამე მხარეს.

მუხლი 15

დასკვნითი დებულებები

1. ეს შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. იგი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების პირველივე დღეს.


2. ამ შეთანხმებაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე. ასეთი ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა მოხდება წერილობითი ფორმით და ძალაში შევა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ორივე მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს ეს შეთანხმება ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმების მოქმედების ვადა ამოიწურება მეორე მხარის მიერ შეწყვეტაზე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.


4. მიუხედავად შეთანხმების შეწყვეტისა, ამ შეთანხმების საფუძველზე გაცემული საიდუმლოების გრიფის მქონე ინფორმაციის დაცვა გაგრძელდება შეთანხმებაში მოცემული დებულებების შესაბამისად.

შესრულებულია 2009 წლის 22 იანვარს, ქ. ჰაღაში

ორ დღიან ჩხურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან ყველა ტექსტი ტანაბრად აუთენტურია. ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.



საქართველოს სახელით



ჩხეთის რესპუბლიკის სახელით